**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**
**ხელშეკრულება №8-ბ**
(CPV 71242000 - პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა)

ქ. თბილისი 11 მარტი 2013 წ.

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N122 განკარგულებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის "დ"ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N122 განკარგულები მე-3-ე პუნქტის საფუძველზე საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ერთის მხრივ შპს საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემის კომპანია, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა კირტავას სახით, (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ეკოპროექტი"-ს წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯამლეთ ტომარაძის სახით, (შემდგომში ,,შემსრულებელი") ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც გამოთვლილია საქართველოს ყოფილი ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს 1997წლის 13 მაისის N35 ბრძანების "მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოების ფასთა კრებული"-ს საფუძველზე.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არსებული "ყაურმა-მამწვარის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბლიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის" შედგენა (შემდგომში მომსახურება) დანართ N2–ში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს:
**26 352 (ოცდაექვსიათას სამასორმოცდათორმეტი) ლარს.**

4.2. გასაწევი მომსახურების სავარაუდო ღირებულების გაანგარიშება მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ შემსრულებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადს.

## 5. მომსახურების შესრულების ვადა და მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების „3.1." პუნქტით განსაზღვრული მომსახურება შეასრულოს დანართი N1-ის გრაფა N12-ით განსაზღვრულ ვადაში.

5.2. შემსრულებელს უფლება აქვს შეასრულოს და გადასცეს შემსყიდველს სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულების „5.1" პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

5.3. ხელშეკრულების ფარგლებში „3.1." პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ჩაბარება შესაძლებელია განხორციელდეს 2 (ორი) ეტაპად:

5.3.1 I ეტაპი _ მთლიანი სარწყავი სისტემის საველე ინვენტარიზაციის, ტოპოგეოდეზიური და საძიებო სამუშაოები.

5.3.2 II ეტაპი _ დეტალური საინჟინრო პროექტის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა.

5.4 „5.3.1" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ შემსრულებლის მოთხოვნის შემთხვევაში ფორმდება შუალედური მიღება–ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენს შუალედური ანგარიშსწორების საფუძველს.

5.5 „5.3.2" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მხარეებს შორის დგება საპროექტო დოკუმენტაციის გადაცემის აქტი, რომელიც არ წარმოადგენს საბოლოო ანგარიშსწორების საფუძველს და მხოლოდ ადასტურებს დეტალური საინჟინრო პროექტის გადაცემას შემსყიდველზე და განსაზღვრავს შემსრულებლის მიერ რომ არ დარღვეულა „5.1" პუნქტით განსაზღვრული ვადა.

5.6 შემსრულებლის მიერ „5.3.2" ქვეპუნქტით განსაზღვრული საპროექტო დოკუმენტაციის სრული პაკეტის გადაცემის შემდეგ, შემსყიდველი უზრუნველყოფს გადაცემული პროექტის ექსპერტიზას არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში, შემსყიდველის მიერ შერჩეულ საექსპერტო დაწესებულებაში.

5.7 საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტი გაფორმდება შედგენილ პროექტზე საექსპერტო დაწესებულების დასკვნის წარმოდგენისა და შემსრულებლის მიერ საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემულ დასკვნასთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ.

5.8 საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტი ადასტურებს შემსყიდველის მიერ მომსახურების (საპროექტო დოკუმენტაციის სრული პაკეტის ) მიღებას.

## 6 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება გაწეული მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში, შესაბამისი შუალედური და/ან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსრულებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

6.2 ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

6.3 ფაქტიური/საბოლოო ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება: ექსპერტიზის მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით განსაზღვრული ობიექტის საამშენებლო ღირებულების შესაბამისი საპროექტო ღირებულების განმსაზღვრელ პროცენტულ მაჩვენებელზე გადამრავლებით, საქართველოს ყოფილი ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს 1997წლის 13 მაისის N35 ბრძანების "მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოების ფასთა კრებული"-ს საფუძველზე.

## 7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

7.1 შემსრულებელი ვალდებულია:

7.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოები შეასრულოს „5.1“ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში და დაიცვას პროექტის კომფედენციალურობა.

7.1.2 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზი და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის პროექტირების მიმდინარეობას.

7.1.3 გადასცეს „შემსყიდველს“ უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

7.1.4 საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას გაწეულ მომსახურებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები.

7.1.5 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ შერჩეული საექსპერტო დაწესებულების დასკვნის შესაბამისად საჭირო გახდება პროექტში გარკვეული ცვლილებების განხორციელება, შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.6 მიაწოდოს შემსრულებელს პროექტთან დაკავშირებული მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა პროექტის შესადგენად და შესათანხმებლად;

7.1.7 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და პირობებით უზრუნველყოს შემსრულებელთან ანგარიშსწორება.

7.2 მხარეები ვალდებულნი არიან:

7.2.1 თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივი ძალისხმევით შექმნან და მოიპოვონ ის დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა პროექტის დამუშავებასთან დაკავშირებით შესაბამისი ნებართვებისა და შეთანხმებების მისაღებად;

7.2.2 ერთმანეთს დაუყოვნებლივ მიაწოდონ წერილობითი ფორმით ყველა ის ინფორმაცია, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად;

7.2.3 ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

## 8 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია სამუშოს შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების „8.1.“ პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველის საინვესტიციო და სარეაბილიტაციო პროგრამების დეპარტამენტის სარეაბილიტაციო ღონისძიებების სამმართველო.

## 9 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადის დარღვევის გამო, შემსრულებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის გამო, შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსრულებელს შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.4 იმ შემთხვევაში თუ, შემსრულებლისთვის წინამდებარე ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამი შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

## 11 ფორს-მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

11.2 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულიად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველ ძალთა გარემოებებით (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, გაფიცვები და სხვა);

11.3 მხარემ რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ.

11.4 წერილობით შეტყობინებაში მითითებული გარემოებები დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

11.5 ფორს–მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 დეკემბრამდე.

12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

12.2.1 ხელშეკრულების "9.5" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2.2 მხარეთა ურთიერშეთანხმების საფუძველზე.

12.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 13 დასკვნითი დებულებები

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად (ერთი ეგზემპლიარი მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს).

13.3 ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილის ნამდვილობაზე.

13.4 ურთიერთობანი, რომელიც არ არის რეგულირებადი წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| **შემსყიდველი** | **შემსყიდველი** |
|---|---|
| **შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია"** | **შ.პ.ს " ეკოპროექტი"** |
| საიდენტიფიკაციო კოდი 204524568 | საიდენტიფიკაციო კოდი 211390145 |
| მისამართი ქ. თბილისი, მე-2 ხეივნის 4 | მის: ქ.თბილისი, დელისისქ.3 კორპ.1 ბინა N1; |
| ს/ს საქართველოს ბანკი | ს/ს საქართველოს ბანკი |
| ბანკის კოდი: BAGAGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ა/ა: GE58BG0000000182323100 | ა/ა: GE15BG0000000167828000 |
| ვაჟა ყირტავა<br>დირექტორი | ჯამლეთ ტომარაძე<br>დირექტორი |

შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიასა“ და შ.პ.ს. „ეკოპროექტს“ შორის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის დამუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული 11 მარტის 2013 წლის №8-ბ ხელშეკრულების

დანართი №1

| № | მენიუ/ქვემენიუ | დასაპროექტებელი ობიექტები (სამელიორაციო ინფრასტრუქტურა) | მომსახურების (დაქვემდებარებული) საპროექტო ფართობი ა | სისტემების და ნაგებობების კატეგორია/კლასი | ხარჯთაღრიცხვით სამუშაოების სავარაუდო სამშენებლო ღირებულება - ლარი | საპროექტო სამუშაოების შრომატევადობის კოეფიციენტი | საპროექტო სამუშაოების პროცენტი ობიექტის სამშენებლო ღირებულებიდან | საპროექტო სამუშაოების ღირებულება ობიექტის სამშენებლო ღირებულებიდან ლარი | საპროექტო სამუშაოების ღირებულება ობიექტის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ღირებულებიდან ლარი | პროექტის სტადია | პროექტის დასრულების თვე | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| | | | | | | სარწყავი სისტემა | | | | | | |
| | | | | | | სამცხე – ჯავახეთის რეგიონი | | | | | | |
| 1 | ნიხიერ/ნიხიერ | ალურმა-ბაქ/ვარის სარწყავი სისტემის ხათავე ნაგებობის, მიგეხერალური არის, 1 და სხვა რეგიონ გამანაწილებლების და მიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია | 468 | II<br>II | 610,000 | 1.2 | 4.32 | 26,352 | 8,000 | დეტალური საინჟინრო პროექტი | 01.06.2013 | |
| | | სამცხე-ჯავახეთის რეგიონი სულ | 468 | | 610,000 | | | 26,352 | 8,000 | | | |

შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ დირექტორი
ვ. ბერტაია

20452456 8

შ.პ.ს „ეკოპროექტის“
დირექტორი
ჯ. ტომარაძე

ECOPROJECT LTD 211390145

11 მარტის 2013 წლის №8-ბ ხელშეკრულების დანართი 2

# დეტალური საინჟინრო პროექტის დამუშავების ტექნიკური დავალება და მომსახურების აღწერა

## I. ზოგადი

1. პროექტის განხორციელების მიზანია ყაურმა-მამწვარის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის შემუშავება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

2. საპროექტო გადაწყვეტილებები უნდა უზრუნველყოფდეს ობიექტების ხანგრძლივ და საიმედო ფუნქციონირებას, საპროექტო პარამეტრებში და დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარანტირებულად მორწყვას – სარწყავი წყლით უზრუნველყოფას.

## II. პროექტის შემადგენლობა

1. რეაბილიტაცის პროექტი უნდა მომზადდეს საქართველოს მთავრობის 11.08.08-ის №176 დადგენილების (მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ) გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს საერთაშორისო და შესაბამის ეროვნულ სტანდარტებს, სამშენებლო ნორმებს და წესებს.

2. რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება მოიცავს:

ა) სარწყავ სისტემებზე არსებული (ადრე დამუშავებული) საპროექტო მასალების ანალიზს;

ბ) საძიებო სამუშაოებს – ტოპოგეოდეზიურ და მთლიანი სისტემის საველე ინვენტარიზაციას, ჰიდროტექნიკური ნაგებობების Utm-ის სისტემაში დაფიქსირებით;

გ) განმარტებით ბარათს, დეტალურ სამშენებლო ნახაზებს და სპეციფიკაციებს;

დ) სამშენებლო-სატენდერო დოკუმენტაციას და სპეციფიკაციებს;

ე) სამუშაოთა მოცულობების ცხრილებს და კონფედენციალურ ხარჯთაღრიცხვებს;

ვ) მშენებლობის წარმოების ორგანიზაციას და ტექნოლოგიის რეკომენდაციებს;

ზ) სამუშაოთა წარმოების საორიენტაციო კალენდარულ გეგმა-გრაფიკს; კალენდარულ დღეებში.

3. საპროექტო სამუშაოები უნდა ჩატარდეს არსებული და ახალი საძიებო-კვლევითი (ტოპოგეოდეზიური, ჰიდროლოგიური, საინჟინროგეოლოგიური და სხვა) მასალების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

## III. პროექტის შედგენის დროს გასათვალისწინებელი საკითხები

*** პროექტი უნდა ითვალისწინებდეს:**

1. პროექტის აღდგენა – რეაბილიტაციას.

2. მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებელი არხების კვეთების (გამტარიანობის) გაანგარიშებას მოსარწყავი მიწის ფართობის, მორწყვის ნორმის 15 დღიანი მორწყვის პერიოდის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში არხის ბერმის ამაღლება.

3. სარწყავი სისტემის დაქვემდებარებული (მოქცეული) ფართობების მოსარწყავად I და სხვა რიგის გამანაწილებელ არხებზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების და მოწყობილობების რეაბილიტაციას – საჭიროების შემთხვევაში

დამატებითი სარეგულაციო კვანძების და წყალგამშვებების მოწყობას, მოსარწყავ მიწის ნაკვეთებთან და უბნებთან მათი თავსებადობის გათვალისწინებით, შემდგომში მოდერნიზაციის-მორწყვის თანამედროვე მეთოდების (წვეთოვანი მორწყვა დაწვიმებითი მორწყვა და სხვა) გამოყენების შესაძლებლობით.

4. მაგისტრალურ და გამანაწილებელ მოპირკეთებულ და მიწის კალაპოტიან არხებზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის თანამედროვე ჰიდროსაიზოლაციო მასალების გამოყენებას.

5. გამანაწილებელი არხების დაზიანებული რკინა-ბეტონის ღარების და მოპირკეთებების აღდგენას და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობას ვარიანტებად:

ა) იგივე კონსტრუქციების გამოყენებით;

ბ) პოლიეთილენის, კომპოზიტური ან სხვა მასალებისაგან დამზადებული თანამედროვე კონსტრუქციების და ტექნოლოგიების გამოყენებით.

6. წყალმზომი მოწყობილობების დაყენებას ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესაბამისად.

7. მთლიანი სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის პროექტის დამუშავება.

8. საპროექტო გადაწყვეტილებების წინასწარი, პერიოდულ განხილვებს კომპანიის ტექნიკურ საბჭოზე, მუნიციპალიტეტის გამგეობაში და საკრებულოში.

9. ზედნადები ხარჯები და გეგმიური მოგების ოდენობა განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1463 2012 წლის 12 ივლისი „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განზრახვის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

## IV. საველე-საძიებო ტიპოგეოდეზიური სამუშაოები

1. დეტალური საინჟინრო პროექტის შესადგენად საველე-საძიებო ტიპოგეოდეზიური სამუშაოები უნდა მოიცავდეს:

ა) თვითდინებითი მაგისტრალური და I, II და სხვა რიგის გამანაწილებელი არხების ტრასის გრძივი პროფილის გადაღებას. მასშტაბი: ჰორიზონტალური 1:2000, ვერტიკალური – 1:100; განივების ჩვენებით მახასიათებელ ადგილებში;

ბ) თვითდინებითი მაგისტრალური და გამანაწილებელი არხების ტრასაზე, ჰიდროტექნიკური ნაგებობების განთავსების კვანძების ტერიტორიის გადაღებას 1:100–იან მასშტაბში Utm-ის სისტემაში დაფიქსირებით.

## V. საპროექტო ორგანიზაციის მიერ დოკუმენტაციის და ანგარიშების წარმოდგენის ვადები

1. საპროექტო ორგანიზაციამ დამკვეთს დოკუმენტაცია უნდა ჩააბაროს ორ ეტაპად:

ა) I ეტაპი – მთლიანი სარწყავი სისტემის საველე ინვენტარიზაციის, ტოპოგეოდეზიური და საძიებო სამუშაოების დოკუმენტაცია, რომლის ანგარიშსწორება მოხდება შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

ბ) II ეტაპი – დეტალური საინჟინრო პროექტი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაცია 2013 წლის 1 ივნისამდე, დაბეჭდილი ქართულ ენაზე 4 ეგზემპლარად.

გ) პროექტს თან უნდა ახლდეს დეტალური პროექტის და სატენდერო მასალების ელექტრონული ვერსია და ფოტო მასალა.

## VI. საპროექტო ორგანიზაციის ვალდებულებები

1. საპროექტო ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, კომპანიასთან (დამკვეთთან) შეთანხმებით (საჭიროების შემთხვევაში), შეიტანოს კორექტივები ტექნიკურ გადაწყვეტილებებში და მოამზადოს შესაბამისი ცვლილებების დოკუმენტაცია.

ბ) პროექტირების პერიოდში წარმოშობილი ახალი გარემოებების შემთხვევაში, ოპერატიულად აცნობოს კომპანიას (დამკვეთს) საჭიროების შემთხვევაში ამ ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ პირობებში ცვლილებების შეტანის ან/და ცალკეული დავალებების შეუსრულებლობის შესახებ, მათი გამომწვევი მიზეზების დასაბუთებით.

| | |
|---|---|
| **შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“** | **შ.პ.ს „ეკოპროექტის“** |
| **დირექტორი** | **დირექტორი** |
| **ვ. კიოტავა** | **ჯ. ტომარაძე** |